დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს
ტელ. : 2 409 477; 2 409235
მობ: 577 10 99 88; 577 13 90 00
pr@gpb.ge , info@gpb.ge

საბავშვო ევროვიზია 2013

23 ნოემბერს საბავშვო ევროვიზიის ქართველი მონაწილეები კიევში საპროდიუსერო ჯგუფთან ერთად გაემგზავრებიან.
გამგზავრებამდე The Smile Shope-ის წევრები საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა დალოცა, კონკურსანტებმა უწმინდესისთვის საკონკურსო სიმღერის გარდა, კიდევ რამდენიმე სიმღერა შეასრულეს და პატრიარქისგან საჩუქრად სამაჯურები და სანთლები მიიღეს.
პატრიარქთან შეხვედრამდე, The Smile Shope-ის წევრები საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თამაზ ტყემალაძემაც მიიღო და ბავშვებს საჩუქრად „ვეფხისტყაოსანი“ გადასცა.
The Smile Shope-ი საქართველოს საბავშვო ევროვიზიაზე 30 ნოემბერს წარადგენს. გადატვირთული გრაფიკი მათ ორშაბათიდან ეწყებათ, სხვა მონაწილეებთან ერთად ისინი სპეციალურად საბავშვო ევროვიზიისთვის ჰიმნს ჩაწერენ, ხოლო სამშაბათს კიევის ხელოვნების სასახლეში პირველ რეპეტიციას გამართავენ.